



სამშენებლო ფაკულტეტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

2018 წ.

## საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების ტექნიკოსი .....	3
მშენებლობის მწარმოებელი.....	6
თაბაშირმუყაოს სპეციალისტი .....	10
სამშენებლო-საგზაო-სალიანდაგო მანქანებისა და მოწყობილობების ტექნიკოსი.....	13
სამშენებლო-საგზაო-სალიანდაგო მანქანებისა და მოწყობილობების ტექნიკოსი.....	16

## მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი (ქართულენოვანებისათვის).....	19
კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი (არაქართულენოვანებისათვის) .....	21

## პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების ტექნიკოსი

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)**

**30**

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია**

ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

**სწავლების ენა**

ქართული

**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი**

პროგრამის მიზანია მოამზადოს მესამე საფეხურის ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების ტექნიკოსი, რომელსაც შეუძლია:

- დამოუკიდებლად მართოს ამწე-სატრანსპორტო მანქანები და მექანიზმები, მოემსახუროს მათ, შეასრულოს საშუალო სირთულის საშემკეთებლო სამუშაოები.
- გამოცდილი სპეციალისტების ზედამხედველობის ქვეშ დაშალოს, შეაკეთოს და ააწყოს ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და მექანიზმების მუშა ორგანოები, ძირითადი კვანძები და მექანიზმები.
- დამოუკიდებლად შეასრულოს სამგზავრო, სატვირთო და სამგზავრო-სატვირთო ლიფტების ცალკეული კვანძების მონტაჟი და გაწყობა.
- გამოცდილი სპეციალისტების ზედამხედველობის ქვეშ შეასრულოს ზემოაღნიშნული ლიფტების ელექტრული მოწყობილობების მონტაჟი და გაწყობა.
- დამოუკიდებლად მოემსახუროს ზემოაღნიშნულ ლიფტებს ექსპლუატაციის პროცესში.

## საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

### ცოდნა და გაცნობიერება:

აქვს სფეროს საფუძვლების ზოგადი ცოდნა და აცნობიერებს მარტივი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.

აქვს სპეციალობის შესაბამისი მანქანებისა და კვანძების სტრუქტურული აგებულების ცოდნა. სპეციალური მზომი ინსტრუმენტების, ხელსაწყოების, სამარჯვების და მათი გამოყენების ცოდნა.

შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ზოგადი ნორმებისა და მოთხოვნების ცოდნა.

### ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

შეუძლია სტრუქტურირებულ გარემოში უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ შეასრულოს მარტივი და ერთგვაროვანი დავალებები, ძირითადი მასალებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით.

შეუძლია დამოუკიდებლად შეასრულოს საწარმოო დავალებები ძირითადი მასალებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით.

სპეციალური მზომი ინსტრუმენტებისა და სამარჯვების გამოყენება.

შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ზოგადი ნორმებისა და მოთხოვნების დაცვა

### დასკვნის უნარი:

შეუძლია ხელმძღვანელის მითითებების გათვალისწინებით სამუშაო პროცესში გამოვლენილი მარტივი პრობლემების ამოცნობა.

შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის არსებული წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი

### კომუნიკაციის უნარი:

შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.

შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში.  
ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.  
შეუძლია პროფესიულ საქმიანობაში უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება.

**სწავლის უნარი :**

შეუძლია სხვისი ხელმძღვანელობით სწავლა.

შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება, პროფესიული ინფორმაციის მოპოვება, ანალიზი და გაზიარება.

**ღირებულებები:**

იცნობს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს.

იცავს მექანიკის ინჟინერიის სფეროში ტექნიკური ნორმებს, პროფესიული ეთიკის ნორმებს. იცნობს და იცავს უსაფრთხოების წესებს. აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა.

## პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

მშენებლობის მწარმოებელი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)

60

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

მშენებლობის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

სწავლების ენა

ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

თეორიულად შეასწავლოს სტუდენტებს და განუვითაროს პრაქტიკული უნარ-ჩვევები შემდეგ საკითხებში: ბიზნესის საფუძვლები; სამშენებლო ბიზნესის საფუძვლები; ბიზნესის რესურსები და ფაქტორები; ბიზნესის დაგეგმვა და სამეწარმეო გარემო; ორგანიზაციის დაგეგმარება, სტრუქტურა და კომუნიკაცია; მცირე და საშუალო სამშენებლო ბიზნესის განვითარებისათვის არსებული ზოგადი საჭიროებების, მათი განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური და ადამიანური რესურსები. სამშენებლო კონსტრუქციული ელემენტების იდენტიფიცირება, სამშენებლო მოედანზე არსებული სამუშაო პროცესის შეცვლა საჭიროების მიხედვით; მოწოდებული საშენი მასალებისა და ნაკეთობების ხარისხის დამადასტურებელი საბუთების შემოწმება საპროექტო მონაცემებთან მიმართებაში. სამუშაოთა პროცესებში ჩართული ჯგუფის, ბრიგადის მართვა და უსაფრთხოების ნორმების დაცვის კონტროლი

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

## **ცოდნა და გაცნობიერება**

აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგადი შესაძლებლობებს.

### **იცის:**

- ბიზნეს-მათემატიკის, ბიზნეს-კომუნიკაციების, კომპიუტერული ტექნოლოგიების, ინგლისური ენის საწყისი კურსის პროგრამები;
- სამშენებლო ბიზნესის საფუძვლები, ბიზნეს გარემო, ბიზნესის რესურსები და ფაქტორები, სამშენებლო ბიზნესის დაგეგმვა და სამეწარმეო გარემო;
- სამშენებლო საწარმოების ორგანიზაციული კულტურა, ორგანიზაციის დაგეგმარება, სტრუქტურა და კომუნიკაცია;
- კარიერის მენეჯმენტი, ორგანიზაციის განვითარება, პროფესიული, პერსონალური და კომუნიკაციური უნარ-ჩვევები, სამშენებლო ბიზნესისათვის საჭირო საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება, საოფისე პროგრამები, ინტერნეტის გამოყენება, ელექტრონული ფოსტის გამოყენება;
- სამშენებლო მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციული ელემენტების გამოყენების და დასაწყობების სპეციფიკა სამშენებლო მოედანზე;
- კონსტრუქციული ელემენტების ტიპები, კონსტრუქციული ელემენტის საორიენტაციო ზომების დადგენა და შედარება სამშენებლო მოედანზე არსებულთან;
- მარტივი ხელსაწყო იარაღებით გრუნტის დათვალიერება, სამშენებლო პროცესების ხანგრძლივობისა და მუშათა საჭირო რაოდენობის განსაზღვრა, აცნობიერებს სამშენებლო ნორმების მონაცემების მნიშვნელობას.

### **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი :**

შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოყენოს სათანადო ინფორმაციის წყაროები, შემუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.

### **შეუძლია:**

- განსაზღვროს და ააგოს ფუნქციონალური დამოკიდებულებები, გაანალიზოს და გამოიყენოს შედეგები დანიშნულებისამებრ.
- გამოიყენოს ბიზნესის საფუძვლებისა და მცირე სამშენებლო ბიზნესის წარმოების პრინციპების ცოდნა მცირე მოცულობის სამუშაოების დასაგეგმად.

- დაგეგმოს და განავითაროს საქმიანი ურთიერთობები სამშენებლო ბიზნესში მიმდინარე საწარმოო პროცესების სპეციფიური ხასიათიდან გამომდინარე.
- ხელი შეუწყოს ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებასა და განვითარებას, განავითაროს კვალიფიციური ბიზნეს კომუნიკაციები პარტნიორებთან და კოლეგებთან.
- სამეწარმეო საქმიანობის მარკეტინგული უზრუნველყოფა.
- დაგეგმოს საწარმოო პროცესში მონაწილე ადამიანური რესურსებისა და პერსონალური კარიერა და იზრუნოს განვითარებაზე.
- გაითვალისწინოს სამშენებლო ბიზნესის თავისებურებანი ამ პროცესთან მიმართებაში, შექმნას ჩატარებული და სამომავლო სამშენებლო სამუშაოების მონაცემთა ბაზა.
- დაადგინოს საძირკვლის ფორმა, მისი ფართობი და ჩაღრმავება.
- მოწოდებული საშენი მასალებისა და ნაკეთობების ხარისხის დამადასტურებელი საბუთების შედარება-შემოწმება.
- სამუშაოთა პროცესებში ჩართული ჯგუფის, ბრიგადის მართვა და უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე კონტროლი.

#### **დასკვნის უნარი:**

**შეუძლია** სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.

#### **აქვს:**

- სამშენებლო ბიზნესთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად და ზოგადი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო პროფესიული ანალიზისა და დასკვნების უნარი;
- პრაქტიკულ სამშენებლო საქმიანობაში ავტონომიური აზროვნების, სიტუაციური ანალიზის საფუძველზე პერსონალური მიზნების განსაზღვრისა და დასახვის უნარი;
- სამეწარმეო პროექტის შემუშავების პირობების განსაზღვრის უნარი;
- მცირე და საშუალო სამშენებლო ბიზნესის განვითარებისათვის არსებული ზოგადი საჭიროებების, მათი განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური და ადამიანური რესურსების განსაზღვრის უნარი;
- შეუძლია მის მიერ ჩატარებული თეორიული გამოთვლების შედეგების საფუძველზე შეცვალოს სამშენებლო ნორმებით დასაშვები მასალის სიმტკიცის მახასიათებლები, დაასაბუთოს და გააკეთოს დასკვნა და წარადგინოს მისეული ხედვა ანგარიშის ან ინფორმაციის სახით.

#### **კომუნიკაციის უნარი:**



შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.

#### **შეუძლია:**

- სხვადასხვა სიტუაციებში მშენებლობის პროცესის უწყვეტი წარმართვისათვის სრულფასოვნად გამოიყენოს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები;
- პროფესიული საქმიანობისას კომუნიკაცია წარმართოს ზეპირად და წერილობით მშობლიურ და ინგლისურ ენაზე.

#### **სწავლის უნარი**

შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში.

#### **შეუძლია:**

- მისი პროფესიული ცოდნის შემდგომი განვითარების მიმართულების განსაზღვრა;
- უახლესი ინფორმაციის მოპოვება, მასალებისა და ტექნოლოგიების შესწავლა, გათავისება, იდენტიფიცირება, მოდიფიცირება, გაზიარება, კრიტიკული ანალიზი და არგუმენტირებული დასაბუთება.

#### **ღირებულებები**

პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.

#### **შეუძლია:**

- საქმიანი დამოკიდებულება დაამყაროს ხელმძღვანელებსა და კოლეგებთან;
- საერთო საქმეზე პიროვნული პასუხისმგებლობის აღების უნარი.
- აქვს პატივისცემის გრძნობა კოლეგებისა და პარტნიორების მოსაზრებებისადმი;
- პასუხისმგებლობის გრძნობა პროფესიული საქმიანობისადმი.
- მოქმედებს სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით, პროფესიული ეთიკის ფარგლებში, უსაფრთხო და მდგრადი განვითარების მქონე გარემოს შესაქმნელად.

საკონტაქტო პირი, პროგრამის ხელმძღვანელი, ლია ბალანჩივაძე, 599 28 00 97, balanchivadzelia@mail.ru	

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	
თაბაშირმუყაოს სპეციალისტი	
	პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)
	30
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
თაბაშირმუყაოს სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.	
სწავლების ენა	
ქართული	
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	
პროგრამის მიზანია, მოამზადოს მესამე საფეხურის თაბაშირმუყაოს სპეციალისტი, რომელიც სპეცტექნოლოგიისა (თაბაშირმუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე) და ზოგადი სასწავლო კურსების შესწავლის საფუძველზე, სათავსოთა შიგა ზედაპირებზე, სხვადასხვა	

მასალებისგან ინდუსტრიულად დამზადებული ფურცლებითა და პანელებით აწარმოებს კედლებისა და ტიხრების მოპირკეთებას სხვადასხვა ხერხებით და მეთოდებით, აგრეთვე ამონტაჟებს შეკიდულ ჭერს, უსაფრთხოების წესების დაცვით.

პროგრამა განსაზღვრავს სწავლების შინაარსს და უზრუნველყოფს თაბაშირმუყაოს პროფესიული სპეციალისტის აუცილებელი უნარების გამომუშავებას. სწავლება ითვლება დასრულებულად, როდესაც მიიღწევა სწავლების შედეგები და სტუდენტი იღებს მესამე საფეხურის კვალიფიკაციის დამადასტურებელ დიპლომს.

### **საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი**

#### **ცოდნა და გაცნობიერება**

აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.

#### **იცის:**

სფეროს ძირითადი კონცეფციები და პროცესები; შრომის უსაფრთხოებისა და ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მარეგულირებელი ნორმები; შენობებისა და ნაგებობების სახეები; მათი ცალკეული ნაწილების და კონსტრუქციული ელემენტების კლასიფიკაცია; ხაზვის საფუძვლები; შენობა-ნაგებობების აგების ტექნოლოგიის ძირითადი პრინციპები; საბათქაშე სამუშაოების სახეები; მშრალი მობათქაშების ტექნოლოგია; თაბაშირმუყაოს კარკასები; კედლის მოპირკეთება თაბაშირმუყაოს ფურცლებით და მოსაპირკეთებელი პანელებით (ტექნოლოგია), თაბაშირმუყაოს ფურცლებით შემოსვის ნაკერების დამუშავების ხერხები; საბათქაშე სისტემების სახეები და მასალები; საბათქაშე ნარევი; შესრულებული სამუშაოების ხარისხის შემოწმების ხერხები და ოპერაციული კონტროლის მეთოდები. აცნობიერებს თუ რა აუცილებელი ნაბიჯებია გადასადგმელი გართულებული ამოცანების შესასრულებლად.

#### **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

**შეუძლია** გამოიყენოს დარგის სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვა-დასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები

**საბაზო დონეზე** შეუძლია სამშენებლო ნახაზების წაკითხვა და მარტივი ესკიზების შესრულება; კარკასების მოწყობა სათანადო ტექნოლოგიით; კედლების და ტიხრების მოპირკეთება დაწებებით, სხვადასხვა ხერხებით; თაბაშირმუყაოს ფურცლებით შემოსვის

ნაკერების დამუშავება სხვადასხვა ხერხით და მეთოდით; მეტალის და ხის კარკასების მოწყობა შემოსვითი და შეკიდული ჭერებისათვის; შემოსვითი ჭერის შემოსვა თაბაშირმუყაოს ფურცლებით და პანელებით.

### **დასკვნის უნარი**

შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.

შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პროფესიული პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის არსებული წყაროებით სარგებლობა, მათი ადექვატური შეფასება, ანალიზი, დასკვნის გაკეთება.

### **კომუნიკაციის უნარი**

შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში. ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.

შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიულ საკითხებზე. იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; შეუძლია მარტივი კომუნიკაცია უცხო ენაზე.

### **სწავლის უნარი**

შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.

### ღირებულებები

განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად. იცავს შრომის უსაფრთხოების და საწარმოო ჰიგიენის წესებს.ზრუნავს სამუშაოს ხარისხის დაცვაზე.აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა პროფესიული საქმიანობისადმი.

საკონტაქტო პირი, პროგრამის ხელმძღვანელი, შახი ბაქანიძე, 595 57 58 43, [s.bakanidze@gtu.ge](mailto:s.bakanidze@gtu.ge)

### პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

სამშენებლო-საგზაო-სალიანდაგო მანქანებისა და მოწყობილობების ტექნიკოსი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)

60

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

სამშენებლო-საგზაო-სალიანდაგო მანქანებისა და მოწყობილობების ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

სწავლების ენა

ქართული

### საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოამზადოს მეოთხე საფეხურის სამშენებლო-საგზაო-სალიანდაგო მანქანებისა და მოწყობილობების ტექნიკოსი, რომელსაც შეუძლია:

- დამოუკიდებლად მართოს სამშენებლო-საგზაო-სალიანდაგო მანქანები და მოწყობილობები, მოემსახუროს მათ, შეასრულოს საშუალო სირთულის სამშენებლო სამუშაოები.
- დამოუკიდებლად დაშალოს, შეაკეთოს და ააწყოს სამშენებლო-საგზაო-სალიანდაგო მანქანებისა და მოწყობილობების მუშა ორგანოები, ძირითადი კვანძები და მექანიზმები.
- გამოცდილი სპეციალისტის ხელმძღვანელობით განსაზღვროს მანქანებისა და მოწყობილობების გამართვის, მომსახურებისა და შეკეთებისათვის შესაბამისი სამუშაოების, სათადარიგო ნაწილებისა და მასალების საჭიროება.

### საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

#### ცოდნა და გაცნობიერება

**აქვს** სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.

**იცის** სპეციალობის შესაბამისი მანქანებისა და კვანძების კონსტრუქციული აგებულება და მუშაობის პრინციპები. აცნობიერებს აღნიშნულ სფეროში კონ-კ-რეტული პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობებს. სპეციალური მზომი ინსტრუმენტების, ხელსაწყოების, სამარჯვების გამოყენების და შესაძ-ლებლობების ცოდნა. შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ნორმებისა და მოთხოვნების ცოდნა. მობილური სამშენებლო მანქანების ტრანსპორტი-რებისათვის აუცილებელი სპეციფიკური მოთხოვნების ცოდნა. უცხოური ენის ცოდნა ტექნიკური ინფორმაციის წაკითხვისა და გაანალიზებისათვის საჭირო დონეზე.

#### ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

**შეუძლია**, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცეს-ში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრუ-ლებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.

**დამოუკიდებლად დაგეგმოს** და შეასრულოს საწარმოო დავალებები ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად. თანამედროვე და ახალი მზომი ინსტრუმენტებისა და სამარჯვების გამოყენება. შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ნორმებისა და მოთხოვნების დაცვა კონკრეტული საწარმოო პირობების შესაბამისად.

### **დასკვნის უნარი**

**შეუძლია** სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.

**შეუძლია** განსხვავებულ საწარმოო სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების ანალიზი, შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული წინადადების განხილვა.

### **კომუნიკაციის უნარი**

**შეუძლია** ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.

**შეუძლია** ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში. შეუძლია დამოუკიდებლად ათვისოს და ეფექტიანად გამოიყენოს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიული ინფორმაციის დამუშავება.

### **სწავლის უნარი**

**შეუძლია** საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა და განჭვრეტა, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად ვითარებაში. შეუძლია შემდგომი განათლების მიღების მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა ნაწილობრივ ცვალებად ვითარებაში. შეუძლია ახალი ინფორმაციის მოპოვება, შესწავლა, ანალიზი და დანერგვა სამუშაო პროცესში.

### **ღირებულებები**

პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.

მექანიკის ინჟინერიის სფეროში მორალურ-ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვა. დარგობრივი და საერთაშორისო ტექნიკური ნორმებისა და სტანდარტების დაცვა. აქვს უნარი გაითავისოს პრობლემები. იცავს პროფესი-ული ეთიკისა და მორალის ნორმებს. ზრუნავს უსაფრთხოების წესებისა და გარემოს დაცვაზე.

საკონტაქტო პირი, პროგრამის ხელმძღვანელები, მიხეილ შილაკაძე, 593 32 90 31; [m.shilakadze@gtu.ge](mailto:m.shilakadze@gtu.ge), გიორგი ნადირაშვილი 599 55 87 41

### პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

სამშენებლო-საგზაო-სალიანდაგო მანქანებისა და მოწყობილობების ტექნიკოსი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)

30

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

სამშენებლო-საგზაო-სალიანდაგო მანქანებისა და მოწყობილობების ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

სწავლების ენა



ქართული

### საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოამზადოს მესამე საფეხურის სამშენებლო-საგზაო-სალიანდაგო მანქანებისა და მოწყობილობების ტექნიკოსი, რომელსაც შეუძლია:

- დამოუკიდებლად მართოს სამშენებლო-საგზაო-სალიანდაგო მანქანები და მოწყობილობები, მოემსახუროს მათ, შეასრულოს საშუალო სირთულის საშემკვეთებლო სამუშაოები.
- გამოცდილი სპეციალისტების ზედამხედველობის ქვეშ დაშალოს, შეაკეთოს და ააწყოს სამშენებლო-საგზაო-სალიანდაგო მანქანებისა და მოწყობილობების მუშა ორგანოები, ძირითადი კვანძები და მექანიზმები.

### საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

#### ცოდნა და გაცნობიერება

აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს;

აქვს სპეციალობის შესაბამისი მანქანებისა და კვანძების სტრუქტურული აგებულების ცოდნა.

- სპეციალური მზომი ინსტრუმენტების, ხელსაწყოების, სამარჯვების და მათი გამოყენების ცოდნა.
- შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ზოგადი ნორმებისა და მოთხოვნების ცოდნა.
- უცხოური ენის ცოდნა საბაზო დონეზე.

#### ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.

შეუძლია დამოუკიდებლად შეასრულოს საწარმოო დავალებები ძირითადი მასალებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით.

- სპეციალური მზომი ინსტრუმენტებისა და სამარჯვების გამოყენება. შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ზოგადი ნორმებისა და მოთხოვნების შესრულება.

### **დასკვნის უნარი**

**შეუძლია** განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.

**შეუძლია** განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის არსებული წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.

### **კომუნიკაციის უნარი**

შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.

შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში.

- ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.
- შეუძლია პროფესიულ საქმიანობაში უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება.

### **სწავლის უნარი**

შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.

**შეუძლია** წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში შემდგომი განათლების დონის განსაზღვრა, პროფესიული ინფორმაციის მოპოვება, ანალიზი და გაზიარება.

### **ღირებულებები**

განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.

**მექანიკის** ინჟინერიის სფეროს მორალურ-ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვა.

მექანიკის ინჟინერიის სფეროს ტექნიკური ნორმების დაცვა. იცნობს და იცავს უსაფრთხოების წესებს .აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა.

საკონტაქტო პირი, პროგრამის ხელმძღვანელები, მიხეილ შილაკაძე, 593 32 90 31; <a href="mailto:m.shilakadze@gtu.ge">m.shilakadze@gtu.ge</a> ,	

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	
კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი (ქართულენოვანებისათვის)	
პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)	
66	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	
სწავლების ენა	
ქართული	
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	

პროგრამის მიზანია ისეთი სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექნება შემდეგი კომპეტენციები: კომპიუტერული ტექნოლოგიების ცოდნა, საინჟინრო გრაფიკული, კონსტრუქციული და სამანქანათმშენებლო ნახაზების შესრულება და ავტომატიზირებული დაპროექტების სისტემების მართვა. არქიტექტურული და სამშენებლო ობიექტების, გარემოს ორგანოზომილებიანი და სამგანზომილებიანი (2D, 3D) მოდელირება, ვიზუალიზაცია და ანიმაცია; საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა. რასტრული გამოსახულების დამუშავება.

შემოქმედებითი მიდგომა ინოვაციური ამოცანების ამოხსნის და დანერგვის საკითხებში. განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად; კონკრეტული პროფესიული დარგის სპეციფიკური უნარების პრაქტიკაში გამოყენება. მცირე ინდივიდუალური მეწარმეობა.

### საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- ობიექტის გამოხაზვა გრაფიკული ტრადიციული მეთოდით;
- კომპიუტერულ პროგრამაში ნახაზის ელექტრონული ვერსიის შესრულება;
- სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო მოწყობილობების მზადყოფნაში მოყვანა;
- საპროექტო დოკუმენტაციის ფორმირება.

საკონტაქტო პირი, პროგრამის ხელმძღვანელი, მარიამ ყარელიშვილი, 599 25 82 89, m.kavrelishvili@gtu.ge

## პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი (არაქართულენოვანებისათვის)

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)**

81

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია**

კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

**სწავლების ენა**

ქართული

**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი**

პროგრამის მიზანია ისეთი სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექნება შემდეგი კომპეტენციები: კომპიუტერული ტექნოლოგიების ცოდნა, საინჟინრო გრაფიკული, კონსტრუქციული და სამანქანათმშენებლო ნახაზების შესრულება და ავტომატიზირებული დაპროექტების სისტემების მართვა. არქიტექტურული და სამშენებლო ობიექტების, გარემოს ორგანოზომილებიანი და სამგანზომილებიანი (2D, 3D) მოდელირება, ვიზუალიზაცია და ანიმაცია; საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა. რასტრული გამოსახულების დამუშავება.

შემოქმედებითი მიდგომა ინოვაციური ამოცანების ამოხსნის და დანერგვის საკითხებში. განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად; კონკრეტული პროფესიული დარგის სპეციფიკური უნარების პრაქტიკაში გამოყენება. მცირე ინდივიდუალური მეწარმეობა

## საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- ობიექტის გამოხაზვა გრაფიკული ტრადიციული მეთოდით;
- კომპიუტერულ პროგრამაში ნახაზის ელექტრონული ვერსიის შესრულება;
- სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო მოწყობილობების მზადყოფნაში მოყვანა;
- საპროექტო დოკუმენტაციის ფორმირება.

საკონტაქტო პირი, პროგრამის ხელმძღვანელი, მარიამ ყარელიშვილი, 599 25 82 89, m.kavrelishvili@gtu.ge